მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, **გიორგი ჭყონიამ** (დაბ: 16.07.1979წ. პირადი #01008010791 მის: ქ. თბილისი, მოსაშვილის ქ. #5), როგორც ამხანაგობა „ვაკე-საბურთალოს 2006“-ს თავმჯდომარემ, (შემდეგში „მარწმუნებელი“), **ლევან ტყეშელაშვილს** (დაბ: 25.08.1979წ. პირადი #01016001192 მის: ქ. თბილისი, ფონიჭალა 3, კორპ. 26, ბინა 67) (შემდგომში „რწმუნებული“), მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება, რათა მან ჩემს მაგივრად ჩემი სახელით განახორციელოს შემდეგი მოქმედებები: აწარმოოს მარწმუნებლის როგორც ამხანაგობა „ვაკე-საბურთალოს 2006“-ს თავმჯდომარის უფლებამოსილების ფარგლებში ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებული საქმიანობა, ამასთან წარმოადგინოს ამხანაგობა მესამე პირებთან ურთიერთობაში, დადოს ნებისმიერ სახის გარიგებები, იყოს წარმომადგენელი საბანკო დაწესებულებებში, აიღოს კრედიტი, გახსნას საკრედიტო ხაზი, დატვირთოს ამხანაგობის ქონება უფლებრივად, (იპოთეკა/გირავნობა ან სხვა სახით), იყოს ამხანაგობის წარმომადგენელი საჯარო რეესტრში, საგადასახადო ინსპექციაში, ნებისმიერ სახელმწიფო ორგანოში და დაწესებულებაში, წარმოადგინოს ამხანაგობა ყველა ინსტანციის სასამართლოში სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეებზე, მათ შორის დაასრულოს საქმე მორიგებით, გაზარდოს, შეამციროს, შეცვალოს მოთხოვნის მოცულობა, გაასაჩივროს სასამართლოს აქტები, უარი თქვას სარჩელზე, გააფორმოს საარბიტრაჟო შეთანხმება, ხელი მოაწეროს ყველა საჭირო დოკუმენტაციას და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც ამხანაგობის თავმჯდომარეს დებულებით აქვს მინიჭებული. რწმუნებულს ენიჭება ამ მინდობილობით მინიჭებული უფლებების ან მათი ნაწილის მესამე პირებზე გადანდობის უფლებამოსილება. მინდობილობა გაცემულია ხუთი წლის ვადით.

მინდობილობა შედგენილია ხუთი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

ამხანაგობა „ვაკე-საბურთალოს 2006“-ს თავმჯდომარე

გიორგი ჭყონია

გიორგი ჭყონია

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N141271732
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	20.11.2014 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება**
ნოტარიუსი	**ნანა ჩუბინიძე**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**ქ. თბილისი, ჩოლოყაშვილის გამზ. №9**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2257473
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	17138375781314

დღეს, ორიათასთოთხმეტი წლის ოც ნოემბერს, მე საქართველოს ნოტარიუსს, ნანა ჩუბინიძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქალაქი თბილისი, ჩოლოყაშვილის გამზ #9, მომმართა გიორგი ჭყონიამ. მან მოითხოვა წინამდებარე მინდობილობაზე ხელმოწერის სინამდვილის დამოწმება სანოტარო წესით. მე შევამოწმე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი მოწმობის საფუძველზე და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად გიორგი ჭყონიამ (დაბ: 16.07.1979წ. პირადი #01008010791 მის: ქ. თბილისი, მოსაშვილის ქ. #5) მომმართა. მე, ნოტარიუსი ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. გიორგი ჭყონიამ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას. ნოტარიუსი ამოწმებს მხოლოდ ხელმოწერის სინამდვილეს, არ ადასტურებს დოკუმენტში მოყვანილ ფაქტებს, შესაბამისად პასუხს არ აგებს დოკუმენტის შინაარსობრივ და სამართლებრივ შედეგებზე.
გადახდილია სანოტარო: 10.00 ლარი, წინამდებარე მინდობილობის ხუთ ეგზემპლარზე ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმების სანოტარო, თანახმად "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის სანოტარისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507-ე დადგენილების 31-ე მუხლისა, ასევე 2.00 ლარი, თანახმად "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის სანოტარისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507-ე დადგენილების 39-ე მუხლისა. სულ ჯამში გადახდილია: 12.00 ლარი.

ნოტარიუსი _____ ნანა ჩუბინიძე

სანოტარო მოქმედების და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: **www.notary.ge** ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: **+995(32) 2 66 19 18**